ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 387

"12" ივლისი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ორი უსახელო ჩიხისთვის და ჯავის II შესახვევის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლილი თაკვარელიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ ორ უსახელო ჩიხს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლილი თაკვარელიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ნაძალადევის რაიონში, ჯავის II შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლილი თაკვარელიას I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე


X:483571 Y:4621561
III ჩიხი
ლილი თაკვარელიას ქ.
X:483674 Y:4621553
X:483214 Y:4621483
II ჩიხი
X:483428 Y:4621468
ლილი თაკვარელიას ქ.
X:483472 Y:4621442
X:483363 Y:4621435
I ჩიხი
X:483483 Y:4621390
N
1:2,000